სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის სამ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. №6, პირველ სართულზე, მომმართა **ზვიად იმედაშვილმა**. მან განაცხადა, რომ არის შპს **"იმარ-საქართველო"**-ს (ს/კ 405038784) დირექტორი და მოითხოვა **კობა მოდრეკილაძისათვის** (დაბ. 25.05.1971წ. თბილისში, პირადი №01023007690, რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9ბ ბ. 53**), შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **ზვიად იმედაშვილის** – დაბ. 26.04.1984წ. ახმეტაში, პირადი № 08001005673, რეგისტრირებული მისამართზე: **ახმეტა 300 არაგველის ქ. N 3**; მე შევამოწმე **ზვიად იმედაშვილის** უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან საიდენტიფიკაციო ნომერი 405038784, ამონაწერის მომზადების თარიღი: 14.05.2015წ. განცხადების რეგისტრაციის №B 15104732 და ასევე მისი უფლებამოსილება შევამოწმე წესდებით, რომელიც წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თხუთმეტი წლის სამ სექტემბერს, ამ მინდობილობით შპს **"იმარ-საქართველო"**-ს (ს/კ 405038784) დირექტორმა **ზვიად იმედაშვილმა**, შემდგომში "მიმნდობი" **კობა მოდრეკილაძეს**, შემდგომში წოდებული „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, განახორციელოს პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის აღება, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები შესაბამის სამსახურებში, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტები მიმნდობის მაგივრად შესაბამისი სამსახურებიდან, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესრულებასთან. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც პირდაპირ არაა მითითებული მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.
2. მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია ორიათას თვრამეტი წლის სამი სექტემბრის ჩათვლით.
3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო სახელაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა ათი ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
29084838539915

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N150954917

რეგისტრაციის თარიღი
03.09.2015 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18